მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

14.03.2023წ.

მე, შპს **„პსპ ფარმა“-ს** (ს/ნ: 202203123) დირექტორი **ვაჟა ოქრიაშვილი** (პ/ნ: 15001003000) ამ მინდობილობით ვანიჭებ უფლებამოსილებას **მარიამ ბასილაშვილს** (პ/ნ: 10001069830), რათა მან წარმოადგინოს და დაიცვას შპს „პსპ ფარმა“-ს ინტერესები; იყოს შპს „პსპ ფარმა“-ს წარმომადგენელი და მისი სახელით აწარმოოს ნებისმიერი ურთიერთობა ყველა ყველა საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირთან, იუსტიციის სამინისტროსთან, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან, სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან, იუსტიციის სახლებში, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან, სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინასთან, სსიპ შემოსავლების სამსახურთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მის ყველა ტერიტორიულ და სტრუქტურულ დეპარტამენტთან, პოლიციის ორგანოებთან, საქართველოს პროკურატურის ორგანოებთან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოსთან, საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოსთან, ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთან (მერიებში, საკრებულოებში), მათ შორის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან და მის სამსახურებთან, სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან, სსიპ ქონების მართვის სააგენტოსთან, სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან, ასევე საფოსტო მომსახურების განმახორციელებელ ყველა იურიდიულ პირთან, მათ შორის, შპს „საქართველოს ფოსტასთან“.

მარიამ ბასილაშვილი უფლებამოსილია საზოგადოების სახელით დადოს და ხელი მოაწეროს ნებისმიერი ტიპის ხელშეკრულებას (ნასყიდობის, იჯარის, ქირავნობის, სერვიტუტის, იპოთეკის, უზუპრუქტის, აღნაგობის და ა.შ.), დამოუკიდებლად განსაზღვროს ხელშეკრულების პირობები, მათ შორის, ხელშეკრულების ღირებულება, შეიტანოს მასში ცვლილებები და დამატებები და ამ მიზნით გააფორმოს დამატებითი შეთანხმებები, დანართები და სხვა შესაბამისი დოკუმენტაცია. ის უფლებამოსილია ხელშეკრულებები დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრში, ასევე მოითხოვოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილება და/ან ხელშეკრულებებით გათვალისწინებული უფლებების რეგისტრაცია, რეგისტრაციიდან მოხსნა და/ან შეწყვეტა (გაუქმება).

იგი უფლებამოსილია ასევე წარმოადგინოს და დაიცვას საზოგადოების ინტერესები ადმინისტრაციულ ორგანოებში და ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოებში, თავისი შეხედულებისამებრ გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტები და მიიღოს მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებებში, ასევე იყოს კომპანიის წარმომადგენელი საქართველოს აღსრულების ეროვნულ ბიუროში და გამარტივებული წესით უზრუნველყოს მოთხოვნის უფლების დაკმაყოფილება, ამ მიზნით იგი უფლებამოსილია შპს „„პსპ ფარმა“-ს სახელით შეიტანოს განცხადება დავალიანების გადახდევინების შესახებ.

მარიამ ბასილაშვილი უფლებამოსილია კომპანია დაარეგისტრიროს ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში, ანდა დაამატოს საქმიანობის სხვა კოდები, შეცვალოს - დაამატოს მისმართი, გაუგრძელოს ეკონომიკურ საქმიანობას ვადა. დაარეგისტრიროს კომპანია ბიზნეს–სუბიექტების ელექტრონულ პორტალზე (სსიპ საჯარო რეესტრის/სააგენტოს ერთიანი ელექტრონული პლატფორმა) მიუთითოს ოფიციალური ტელეფონის ნოემრი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და პასუხისმგებელი პირი. ამასთან დაკავშირებით წარადგინოს ნებისმიერი დოკუმენტი.

შპს პსპ ფარმა, ს/კ: 202203123, მის: საქართველო, ქ.თბილისი, 0112, დავით აღმაშენებლის გამზ., 148

PSP Pharma LLC, ID Number: 202203123, Address: 148, David Aghmashenebeli Ave., 0112, Tbilisi, Georgia

www.psp.ge (+995 32) 2 185 111

administration@psp.ge (+995 32) 2 404 045

მარიამ ბასილაშვილი უფლებამოსილია მოახდინოს საზოგადოების პერერეგისტრაცია და საზოგადოების რეგისტრირებული მონაცემები შესაბამისობაში მოიყვანოს „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონის მოთხოვნებთან. ამ მიზნით ის უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება, შეადგინოს ნებისმიერი დოკუმენტი, ხელი მოაწეროს მას და წარადგინოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

მარიამ ბასილაშვილი ამ მინდობილობით ასევე უფლებამოსილია წარმოადგინოს და დაიცვას საზოგადოების ინტერესები ნებისმიერი ინსტანციის (რაიონულ (საქალაქო), სააპელაციო, უზენაესს) სასამართლოში, ნებისემირ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეზე, ისარგებლოს მხარის ყველა უფლებით, რაც გათვალისწინებულია ადმინისტრაციული და სამოქალაქო კანონმდებლობით, განახორციელოს ყველა საპროცესო მოქმედება მათ შორის: გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერები მასალებიდან, გადაიღოს ასლები, წარადგინოს შეპასუხება და მტკიცებულებები, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხარის მოსაზრებები, დასკვნები და შუამდგომლობები, აღძრას სარჩელი (შეგებებული სარჩელი), შეიტანოს შესაგებელი, უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ, შეცვალოს სარჩელის საგანი, დაამთავროს საქმე მორიგებით, აიღოს სააღსრულებო ფურცელი და წარადგინოს გადასახდევინებლად, ასევე აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარადგინოს სასამართლოს ნებისმიერი განჩინება/გადაწყვეტილება, გაასაჩივროს სასამართლოს ნებისმიერ განჩინება და გადაწყვეტილება, ისარგებლოს მხარის ყველა უფლებით, რაც გათვალისწინებულია ადმინისტრაციული და სამოქალაქო კანონმდებლობით.

ამ დავალების შესრულების მიზნით მარიამ ბასილაშვილი უფლებამოსილია წარადგინოს, მოითხოვოს, მიიღოს და ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტაციას, გადაიხადოს კანონმდებლობით დადგენილი საფასურები, მოსაკრებლები და შეასრულოს ყველა სხვა აუცილებელი იურიდიული მოქმედებები.

მინდობილობა გაცემულია 2 (ორი) წლის ვადით.

დირექტორი *ვაჟა ოქრიაშვილი*

ორი ათას ოცდასამი წლის თოთხმეტ მარტს მე, ნოტარიუსს, მარიკა გოგოლაძეს რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებელის გამზ. #183, მომმართა:

ვაჟა ოქრიაშვილმა (დაბ. 15.09.1973 წ. თბილისში. რეგისტრირებული და მცხოვრები - დმანისი, იაკობ ცურტაველის ქ. 54, პირადი ნომერი 15001003000, პირადობის მოწმობის სერია 15IA22274 , გაც. **05.02.2016**წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ).

მან მოითხოვა მის მიერ წარმოდგენილ მინდობილობაზე „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის „ზ“ პუნქტისა და „ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი საქართველოს პირადობის მოწმობის საფუძველზე. შევამოწმე ქმედუნარიანობა, რაშიც ეჭვი არ შემპარვია. მე, მას განვუმარტე: „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის თანახმად, წინამდებარე დოკუმენტზე, დამოწმებისას ნოტარიუსი ადასტურებს, რომ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერა ნამდვილად ზემოაღნიშნულ პირს ეკუთვნის; ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილ ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მათ ნამდვილობაზე.

სანოტარო მოქმედება შესრულდა მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის 148.

წარმოდგენილ დოკუმენტზე ხელი მოწერილია ორ გვერდზე სანოტარო მოქმედების შესრულებისთვის გადახდილია საზღაური რვა ლარი + დღგ ერთი ლარი და ორმოცდაოთხი თეთრი, + ხუთი ლარი რეგისტრაციის საზღაური, + ოცდათხუთმეტი ლარი, დღგ ექვსი ლარი და ოცდაათი თეთრი სანოტარო მოქმედების სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებისთვის, სულ ორმოცდათხუთმეტი ლარი და სამოცდათოთხმეტი თეთრი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს მთავრობის დადგენილება **№ 507**-ისა (**29.12.2011** წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის **2022** წლის **30** მაისის დადგენილება **№ 272**-ი) 31(III), 34 (2 პუნქტი) 39 და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლებისა.

ნოტარიუსი მარიკა გოგოლაძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N230322145
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	14.03.2023 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	მარიკა გოგოლაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	საქართველო ქ.თბილისი დავით აღმაშენებლის გამზირი N183
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	marikagogoladze@notary.ge
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	88405651919723

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს`

შპს „პსპ ფარმა“-ს (ს/ნ 202203123) წარმომადგენლის

მარიამი ბასილაშვილის (პ/ნ 10001069830) მის: თბილის, დ.აღმაშენებლის გამზ.154

ელ ფოსტა:basilashvili.mariami98@gmail.com

შეტყობინების წერილი

გაცნობებთ, რომ : ქალაქი თბილისში, კონსტანტინე ჩაჩავას ქუჩა,N 6ე-ში მდებარე 22367.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა **„შპს პსპ ფარმა“ (ს/ნ 202203123**) უძრავი ქონების ს/კ **01.13.02.004.075.** აღნიშნული ტერიტორია მიეკუთვნება სამრეწველო ზონა 1 (ს-1). ამასთანავე გაცნობებთ, რომ მომიჯნავე ნაკვეთის მესაკუთრემ, (ნაკვეთი მდებარეობს აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N92-ში, ს/კ **01.13.02.004.189**; მესაკუთრე **შპს "განვითარება XXI "** , **ს/ნ :404983880**)მიმართა თბილისის მერიის შესაბამის სამსახურებს მოითხოვა ფუნქციური ზონის, კერძოდ სამრეწველო ზონა 1 (ს-1)-ის შეცვლა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1)-ით.

აღნიშნულთან დაკავშირებით მოგმართავთ თხოვნით, არ შეცვალოთ ფუნქციური ზონა და დარჩეს უცვლელი სამრეწველო ზონა 1 (ს-1). ამასთანავე, იმ შემთხვევაში თუ ზონის ცვლილებასთან დაკავშირებით განიხილავთ საკითხს, გთხოვთ ჩაგვრთოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში.

ზონის უცვლელობასთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ ჩვენს პოზიციას. თავდაპირველად, როდესაც შპს „პსპ ფარმამ“ შეიძინა ზემოაღნიშნული უძრავი ქონება ს/კ 01.13.02.004.075, შეძენის მიზეზი გახლდათ სამრეწველო ზონის არსებობა.სხვაგვარად, ფუნქციური ზონის ცვლილების შემთხვევაში კერძო საკუთრებას ინტერესი დაეკარგება.

შპს პსპ ფარმა-ს წარმომადგენელი

მარიამი ბასილაშვილი _____

26.01.2024